პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 238 (10014) | ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

გ. მ. მალენკოვმა მიიღო ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელი ქ-ნი მ. ჩანდრასეკხარი (1-ლი გვერდი).

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები. — **„პრავდის“ 6-X მოწინავე** (1-ლი გვერდი).

ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ბერლინს ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია. ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა** (1-ლი გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ვ. ესაიაშვილი. — კარლ მარქსის გენიალური ნაშრომი (მე-2 გვერდი).

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხოვნად (მე-2 გვერდი).

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული ფლისთავი. — **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახალ ცხოვრებას აშენებს** (მე-3 გვერდი).

ა. კუსრაშვილი. — ძველი მკვლელები ახალი ნიღბით (მე-4 გვერდი).

უცხოეთის პრესის გამოხმაურება შეიარაღების შემცირების საკითხზე საბჭოთა წინადადების გამო (მე-4 გვერდი).

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები

ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესაბამისად ამჟამად მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მთელ რიგ პარტორგანიზაციებში მიმდინარეობს აგრეთვე საქალაქო და რაიონული პარტკონფერენციები, ხოლო უახლოეს ხანში პარტკონფერენციები ყველგან გაიმართება. საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები მიმდინარეობს მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაჩქარებული აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის პირობებში.

პარტიული ორგანოების უთუო არჩევითობა, მათი ანგარიშგება პარტიული მასების წინაშე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის თავისუფლება ყოველი პარტიული ორგანიზაციის საშინაო ცხოვრების მტკიცე ნორმებია. მათი მიზანია პარტიული ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობის ყოველმხრივი შემოწმება, პარტიის წევრების აქტივიზაცია, ხელმძღვანელად ახალი კადრების დაწინაურება, პარტიული მუშაობის გაუმჯობესება.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე ან კონფერენციაზე ირჩევენ პარტიული ორგანოს ახალ შემადგენლობას, რომელიც უახლოესი პერიოდის მანძილზე წარმართავს ორგანიზაციის მთელ მუშაობას. ანგარიშისა და არჩევნების დროს ხდება პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგების შეჯამება. ვლინდება ნაკლოვანებანი და ხარვეზები, კომუნისტების მთავარი ყურადღება ექცევა ძირითად ამოცანებს, რომლებიც მათ უნდა გადაჭრან.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულია გიგანტური ამოცანები. მრეწველობის დარგში ისინი რაზმავენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს 1954 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა, გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, გამოყენებულ იქნას უდიდესი შინარეზერვები, რომლებიც სოციალისტურ მრეწველობას აქვს, სოფლის მეურნეობის დარგში პარტორგანიზაციები კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებს რაზმავენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის დაჩქარებული აღმავლობის იმ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმებმა შეიმუშავეს, მტს-ების — საკოლმეურნეო წარმოების განვითარების ამ გადამწყვეტი ძალის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, უამრავი და ნაირგვარი მიწების ათვისებისათვის, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გადიდების, პირუტყვის გამოზამთრების მოამზადებისა და სანიმუშოდ განხორციელებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. პარტორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ განავითარონ საბჭოთა ვაჭრობა, გააუმჯობესონ სახელმწიფო აპარატი, გაიაფონ იგი, გაამარტივონ და სრულყონ მისი მუშაობა.

პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა იბრძოლონ, რათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები გახდნენ სერიოზული ნიშანსვეტი ამ ამოცანების შესრულების გზაზე. დიდი ადგილი უნდა დაიკავონ პარტიული ორგანიზაციების შინაპარტიული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებმა, მასების კომუნისტური აღზრდის საქმეში, მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის შემდგომი ამაღლების საქმეში მათი მოღვაწეობის გაძლიერების საკითხებმა.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ საანგარიშო საარჩევნო კრებები და კონფერენციები, რომლებზეც კომუნისტები დიდ აქტივობას იჩენენ, მიმდინარეობს მუშაობის ნაკლოვანებათა გაშლილი კრიტიკის ვითარებაში. კრებებისა და კონფერენციების ტრიბუნებიდან გაისმის ბევრი კრიტიკული შენიშვნა და ძვირფასი წინადადება, რომლებიც მოწმობენ, თუ რა მხურვალედ ისწრაფვიან კომუნისტები აღმოფხვრან მუშაობის ნაკლოვანებანი. ამასთანავე არის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც მოწმობენ კრებებისა და პარტიული კონფერენციების მოწყობის პრაქტიკის, ზოგიერთი პარტიული კომიტეტის მხრივ მათდამი ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არაორგანიზებულად და დაბალი დონით ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა სტავროპოლის მხარის მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ისე რომ ამ კრებებზე კომუნისტებს ჯეროვანი აქტივობა არ გამოუჩენიათ. სტავროპოლის საქალაქო სახბინო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორის პარტიული ორგანიზაციის, ვორონეშლოვსკის სადგურის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაციის, სტავროპოლის მხარის ცხოველნადლეულის დამზადების კანტორის და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაციის კრებებზე ჯეროვნად არ ყოფილა გაჩაღებული კრიტიკა. აქ სწორი ტონი ვერ აიღეს მომხსენებლებმა. პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების საანგარიშო მოხსენებებში მეტი იყო ნათქვამი მიღწევებზე, ვიდრე ნაკლოვანებებზე. კრებებმა უდარდელობისა და თვითდამშვიდების ვითარებაში ჩაიარა. ცუდი მომზადების შედეგად დაბალ დონეზე ჩაიარა აგრეთვე საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ვორონეჟის ოლქის ცალკეულ პარტორგანიზაციებში.

პარტიული ორგანიზაციები ასეთ ფაქტებს ვერ შეურიგდებიან. საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, ყველა პარტიული ორგანო მოვალე არიან უზრუნველყონ, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა მაღალი დონით ჩაიაროს. ეს ბევრად არის დამოკიდებული კრებებისა და კონფერენციების მომზადებაზე, კომუნისტების განსახილველად წარდგენილ საანგარიშო მოხსენებათა შინაარსიანობაზე.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ პარტიული კომიტეტი კარგად უფიქრდება თავისი საქმიანობის შედეგებს, გულმოდგინედ განაზოგადებს შესრულებულ მუშაობას, მწვავედ და პრინციპულად ააშკარავებს ნაკლოვანებებს, სწორად აყენებს პარტიული ორგანიზაციის მორიგ ამოცანებს, კრებაც ცოცხლად და შინაარსიანად მიმდინარეობს. პირიქით, ზერელე და არათვითკრიტიკული ანგარიში ჩვეულებრივ არ იწვევს კომუნისტების აქტივობას, მწვავე კრიტიკას. დავიმოწმოთ თუნდაც ასეთი ფაქტი. კრასნოდარის მხარის ნოვოროსიისკის ქარხნის „კრასნი დვიგატელის“ პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრებამ უდარდელობის ვითარებაში ჩაიარა, აქ ყოველმხრივ და საქმიანად არ განუხილავთ პარტიული მუშაობისა და სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. რატომ მოხდა ეს? უმთავრესად იმიტომ, რომ კრებას განსახილველად წარუდგინეს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ზერელე და არათვითკრიტიკული საანგარიშო მოხსენება, რომელმაც ვერ გამოიწვია მწვავე კრიტიკა კომუნისტების მხრივ. ქარხანაში კი საწარმოო გეგმის შესრულებისას ცუდად იყენებენ შინარეზერვებს, უშვებენ ბევრ წუნს, არის წარმოების დიდი ხარჯები, დაბალია ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საანგარიშო მოხსენების მომზადება პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ან პარტიის რაიკომის მდივნის ერთპიროვნული საქმე როდია. საანგარიშო მოხსენება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც ხდება საანგარიშო პერიოდის მუშაობის შედეგების შეჯამება და პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანების ჩამოყალიბება. პარტიული კომიტეტის ყველა წევრი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს მის მომზადებაში, გრძნობდეს პასუხისმგებლობას პარტიული ორგანიზაციის წინაშე. მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას რაც შეიძლება უფრო ამომწურავად გამოვავლინოთ მუშაობის ნაკლოვანებანი და დავსახოთ მათი უსწრაფესი აღმოფხვრის გზები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების უმნიშვნელოვანესი საქმეა პარტიული ორგანოების არჩევნები. პარტიული ორგანოების არჩევნების პროცესში ასახელებენ ყველაზე ავტორიტეტიან კომუნისტებს, კარგად მომზადებულ კადრებს, რომლებიც შემოწმებული არიან პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიული კომიტეტების არჩევნების წესი განპირობებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციით, რომლის დებულებანი ზუსტად და განუხრელად უნდა დავიცვათ. მაგრამ ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის შემთხვევებია. არჩევნებისადმი მოკნილი ხელმძღვანელობის ნაცვლად ზოგიერთ შემთხვევაში უშვებენ ზედმეტ რეგლამენტაციას, რაც ბოჭავს პარტიული მასების აქტივობას და არღვევს პარტიული ორგანიზაციების თვითმოქმედ ცხოვრებას. მაგალითად, ზოგიერთ პარტორგანიზაციაში ჯერ მხოლოდ დასახულია საანგარიშო-საარჩევნო კრების მოწვევა, რაიკომი ან საქალაქო კომიტეტი კი უკვე მოითხოვენ ცნობებს კომუნისტების შესახებ, რომლებიც დასახელებულ იქნებიან პარტიულ ბიუროში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციით, რომელიც განსაზღვრავს პარტიული ორგანოების ანგარიშებისა და არჩევნების წესს, დაშვებულია, რომ საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე მოწვეულ იქნას დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირები, რათა წინასწარ დასახონ კანდიდატები პარტიული კომიტეტის ახალ შემადგენლობაში. ამავე დროს ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ ეს ვერ შეზღუდავს დელეგატების იმ უფლებას, რომ თვით პარტიულ კონფერენციაზე დასახელონ და განიხილონ კანდიდატურები. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ეს მითითება ირღვევა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უზრუნველყონ ამ დებულების განხორციელება, არ დაუშვან შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები და პარტიული კონფერენციები ქმნიან იმის რეალურ პირობებს, რომ გაძლიერდეს პარტიული მასების მხრივ პარტიული ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების საქმიანობის კონტროლი და შემოწმება, ავითარებენ კომუნისტების აქტივობასა და თვითმოქმედებას, აძლიერებენ მათს პასუხისმგებლობას პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის, პარტიის დიადი საქმისათვის. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა უხელმძღვანელონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების მოწყობას, თვალყური ადევნონ იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნას კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ განვითარება, კანდიდატურების თავისუფალი განხილვა, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ნამდვილად ავტორიტეტიანი ამხანაგების არჩევა, რომლებსაც უნარი შესწევთ სათავეში ჩაუდგნენ პარტიულ ორგანიზაციებს და საქმით განახორციელონ პარტიული გადაწყვეტილებანი.

შინაპარტიული დემოკრატია, რომლის ქვაკუთხედია პარტიული ორგანოების არჩევითობა და ანგარიშგება, პარტიული მასების აქტივობის გაძლიერების, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების წყაროა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და პარტიული კონფერენციების მაღალი დონით მოწყობა ხელს შეუწყობს პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის გაუმჯობესებას და კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მათი როლის გაძლიერებას.

„პრავდის“ 6/X მოწინავე.

ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ა. ნ. ნესმეიანოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ი. ივაშჩენკო.

დელეგაციის შემადგენლობაში არის აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. გ. მ. პუშკინი.

გ. მ. მალენკოვმა მიიღო

ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელი ქ-ნი მ. ჩანდრასეკხარი

6 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვეული საბჭოთა კავშირში მყოფი ინდოეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის ხელმძღვანელი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, ინდოეთის პარლამენტის წევრი ქ-ნი მ. ჩანდრასეკხარი. ქ-ნ მ. ჩანდრასეკხარს თან ახლდა სსრ კავშირში ინდოეთის საელჩოს პირველი მდივანი ბ-ნი პ. ნ. კაული.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო.

ბერლინს ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ღღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ბერლინს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ა. ნ. ნესმეიანოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ი. ივაშჩენკო. დელეგაციის შემადგენლობაში არის აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. გ. მ. პუშკინი.

ბერლინის შენეფელდის აეროდრომზე, რომელიც საზეიმოდ იყო მორთული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო ალმებით, საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გ. მატერნი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ო. ნუშკე, ჰ. რაუ, ჰ. ლოხი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. შირდევანი, ფ. ელსნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ვანდელი და ე. მიუკენბერგერი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ. ლოიმნერი, სახელმწიფო კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ფ. ლანგე, მინისტრები კ. ვახი, ი. ბეხერი, კ. გრეგორი, გ. ლაბსი, ვ. ფელდმანი, რ. ხვალეკი, ფ. მახერი, გ. ვინკლერი, ხ. ბენიამინი, ვ. შტოფი, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ჰ. ვარნკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ჰ. ჰანდკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. გ. მ. პუშკინი.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ აგრეთვე საბჭოთა არმიის წარმომადგენლები გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდლის არმიის გენერალ ა. ა. გრეჩკოს მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციები, რომელნიც ბერლინს არიან ჩამოსულნი.

აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის შეხვედრის დროს იყვნენ აგრეთვე საბჭოთა საელჩოს მუშაკები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სხვა ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო გერმანიის სახალხო პოლიციის საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა აეროდრომზე:

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ბედნიერია გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ბერლინის მოსახლეობას, აგრეთვე მთელ გერმანელ ხალხს მხურვალე მეგობრული სალამი და გულითადი მილოცვა.

ხუთი წელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისა, რომლის სახელოვან იუბილესაც ხალხები ამ დღეებში აღნიშნავენ, იყო მისი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წლები. ამასთანავე ეს იყო გერმანიის ერთიანობისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შეუპოვარი ბრძოლის წლები. ამ სახელოვან ბრძოლაში ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთ რიგებში იმყოფებოდნენ. ეს განამტკიცებდა საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის მეგობრობასა და თანამშრომლობას.

საბჭოთა ადამიანებს ახარებს თქვენი წარმატებანი ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, თქვენი მიღწევები აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის მშრომელთა დაახლოების საქმეში, რაც ქმნის იმის უმნიშვნელოვანეს წინაპირობებს, რომ გადაიჭრას ძირითადი საკითხი — მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის ერთიანობის აღდგენა. ამ საკითხის დადებითად გადაჭრა შეესაბამება მშვიდობის უზრუნველყოფისა და განმტკიცებისადმი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის მისწრაფებას.

გერმანელ ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, ყოველმხრივ მეგობრულ დახმარებას გაუწევს მას ამ სამართლიან საქმეში.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალების ბურჯს!

იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურღვევი მეგობრობა — ევროპის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების საწინდარი!

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა დღეს მიიღო ხელმძღვანელი საბჭოთა მთავრობის დელეგაციისა, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გ. მატერნი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ო. ნუშკე, ჰ. რაუ, ჰ. ლოხი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები კ. შირდევანი, ფ. ელსნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ვანდელი და ე. მიუკენბერგერი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ. ლოიმნერი, სახელმწიფო კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ფ. ლანგე, მინისტრები კ. ვახი, ი. ბეხერი, კ. გრეგორი, გ. ლაბსი, ვ. ფელდმანი, რ. ხვალეკი, ფ. მახერი, გ. ვინკლერი, ხ. ბენიამინი, ვ. შტოფი, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე ჰ. ვარნკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ჰ. ჰანდკე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. გ. მ. პუშკინი.

მიღებას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვ. ულბრიხტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად

5 ოქტომბერს პოლიტექნიკურ მუზეუმში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავს. საღამო მოაწყო საბჭოთა კავშირის უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

ცენტრალური ლექტორიუმის დიდ სალექციო დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა ასობით მუშა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ბ. ა. ვედენსკიმ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნით მიღებული შთაბეჭდილებანი გაუზიარეს დამსწრეთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ზ. ნ. გაგარინამ, სტალინური პრემიის ლაურეატებმა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარმა ნ. ვ. ტომსკიმ, პოეტმა ე. ა. დოლმატოვსკიმ და სხვებმა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოს „გმირი დედის“ საპატიო წოდება, გადაეცეს **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები იმ დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **აკოფიანს** ცაღიკ ვართანის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი მიასნიკიანი.
2. **ალვანჯიანს** სათენიკ ხორენის ასულს — დიასახლისს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი ფოკა.
3. **ვალიევას** ხანპარი ახმედ ყზის — კოლმეურნეს, დმანისის რაიონის სოფელი ირგანჩაი.
4. **ვართანიანს** მარიამ არტაშის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი მიასნიკიანი.
5. **ღოლობერიძეს** უმიან აბდულის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი ბზუბზუ.
6. **დეკაძეს** აიშე იუსუფის ასულს — დიასახლისს, აჭარის ასსრ ქალაქი ბათუმი.
7. **ესაიას** მარუშა კუაგის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის სოფელი ყულანურხვა.
8. **მანუკიანს** აზნივ მაკარის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი სულდა.
9. **მარქარიანს** ასტღიკ ხაჩატურის ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
10. **ნაჩარიანს** ლუსიკ აიკაზის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი სულდა.
11. **ოგანესიანს** აიკანუშ ხაჩატურის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი სულდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1954 წ. 28 სექტემბერი.

ჩკალოვის ოლქის კოლმეურნეობებმა მზრალად ხვნის გეგმა შეასრულეს

ჩკალოვი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმა, მოხნეს 939 ათასი ჰექტარით მეტი მიწა, ვიდრე გასული წლის ამ თარიღისათვის. 27 და უფრო მეტი სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნულია 750 ათასი ჰექტარი. მზრალად მოხნულია 120 ათასი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა.

ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გატეხეს 7.595.398 ჰექტარი ყამირი მიწა

ალმა-ატა, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებში შეჯამეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ამა წლის ცხრა თვის შედეგები. ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გატეხეს 7.595.398 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა და ერთი მილიონზე მეტი ჰექტარით გადააჭარბეს დაწესებულ სახელმწიფო დავალებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 123,6 პროცენტით შეასრულეს ყამირი და ნასვენი მიწების გატეხის სახელმწიფო დავალება, ხოლო საბჭოთა მეურნეობებმა — 118,6 პროცენტით.

რესპუბლიკაში გრძელდება ყამირი და ნასვენი მიწების გატეხა 1955 წლის ნათესებისათვის.

პური ყამირი მიწებიდან

კუიბიშევი. (საკდესი). აქ მოდის ყაზახეთის, ალტაის მხარის, ომსკის ოლქის ყამირ მიწებზე მოყვანილი მარცვლეულით დატვირთული მატარებლები. კუიბიშევის სამდინარო ნავსადგურში ეს მარცვლეული ვოლგის სამდინარო გემებზე გადაიტვირთა. მის გადასაზიდავად ვოლგის სატვირთო სანაოსნომ სწრაფი სატვირთო თბომავლები გამოჰყო.

ტირაჟები ოქტომბერში

მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება სახელმწიფო სესხების ორი ტირაჟი. 24 ოქტომბერს ქალაქ ზაპოროჟიეში გა

კარლ მარქსის გენიალური ნაშრომი

(კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომის ახალი ქართული გამოცემის გამო)

გამოვიდა კ. მარქსის გენიალური ნაშრომის „კაპიტალის“ I ტომის მეორე ქართული გამოცემა, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

როგორც ცნობილია, მარქსის ეს უდიდესი ნაშრომები ქართულ ენაზე პირველად 1930 წელს გამოვიდა. იგი სწრაფად გავრცელდა და მეტად საგრძნობი გახდა მისი მეორედ გამოცემის საჭიროება.

„კაპიტალის“ I ტომის მეორე ქართული გამოცემა არსებითად ახალი თარგმანია. იგი შესრულებულია მეოთხე გერმანული გამოცემიდან, რომელიც მომზადებული იყო ფ. ენგელსის მიერ იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რაც მარქსის გარდაცვალების შემდეგ მის ხელნაწერებში აღმოჩნდა. ახლად თარგმნისას გამოყენებული იყო „კაპიტალის“ პირველი ფრანგული და ინგლისური გამოცემები და შედარებულ იქნა ახალ რუსულ გამოცემასთან, რომელიც ყველაზე სრულყოფილი, შემოწმებული და გასწორებული გამოცემაა.

ამ გზით „კაპიტალის“ ახალ ქართულ თარგმანში თავიდან იქნა აცილებული ის ნებისმიერი შესწორებები, და მთელი რიგი ადგილების დამახინჯებანიც კი, რასაც ადგილი ჰქონდა კაუცკისეულ გამოცემაში და რაც თავისთავად გადავიდა პირველ ქართულ თარგმანში.

„კაპიტალის“ I ტომი გერმანულ ენაზე 1867 წელს გამოვიდა და იგი ფართოდ გავრცელდა ყველა ქვეყანაში. პირველი უცხო ენა, რომელზეც „კაპიტალი“ ითარგმნა, რუსული ენა იყო. „კაპიტალში“ გადმოცემული მარქსიზმის დიადი იდეები სწრაფად გავრცელდა რუსეთში და მძლავრი გავლენა მოახდინა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე. კ. მარქსი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „კაპიტალს“ რუსეთში „უფრო მეტად კითხულობენ და აფასებენ, ვიდრე სადმე სხვაგან“. ვ. ი. ლენინმა 18 წლის ასაკში დაიწყო „კაპიტალის“ შესწავლა და მისი იდეების პროპაგანდა. ამ გენიალური ნაშრომის იდეებმა უდიდესი როლი ითამაშეს მუშათა კლასის სოციალისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებაში. „კაპიტალმა“ თავისი საპატიო ადგილი დაიკავა ზოლშევიკთა იდეური შეიარაღების მდიდარ არსენალში.

„კაპიტალის“ ავტორის — მსოფლიო პროლეტარიატის პირველი მასწავლებლისა და ბელადის — კ. მარქსის სახელი ქართულ პრესაში გასული საუკუნის 70-იან წლებიდან გვხვდება. „კაპიტალის“ იდეების პროპაგანდამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში, დიდად შეუწყო ხელი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებასა და მის მეცნიერულ ნიადაგზე წარმართვას. ი. ბ. სტალინმა სრულიად ახალგაზრდამ შეისწავლა „კაპიტალი“ და გატაცებით დაიწყო მისი შინაარსის ახსნა-განმარტება მარქსისტულ წრეებში.

ლენინმა და სტალინმა მოგვცეს „კაპიტალის“ არა მარტო შესწავლის, არამედ მისი უძლეველი იდეების ახალ ისტორიულ პირობებში შემოქმედებითად გამოყენებისა და ყოველმხრივ შემდგომი განვითარების კლასიკური ნიმუში.

ვ. ი. ლენინი წერდა: „კაპიტალი“ ის მთავარი და ძირითადი შრომაა, რომელშიც გადმოცემულია მეცნიერული სოციალიზმი.

„კაპიტალი“ ნამდვილი ენციკლოპედიური ნაშრომებია, რომელშიც ყველაზე სრულად არის ასახული ის უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, რაც მარქსმა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში მოახდინა.

„კაპიტალი“ ტიტანური შრომის შედეგია. მის შექმნაზე მარქსი მუშაობდა ათეული წლების მანძილზე უაღრესად მძიმე და აუტანელ პირობებში. „კაპიტალის“ შექმნას შესწირა მან მთელი თავისი ძვირფასი და მეტად შინაარსიანი ცხოვრება. თვითონ მარქსს „კაპიტალი“ მთელი თავისი ცხოვრების საქმედ მიაჩნდა.

„კაპიტალით“ მარქსმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ბურჟუაზიულ წყობილებას, ხოლო პროლეტარიატს უჩვენა, რომ ამ განაჩენის სისრულეში მოყვანა მისი ისტორიული მისიაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ „კაპიტალის“ გამოსვლამ საშინელი სიძულვილი და შიში გამოიწვია ყველა ექსპლოატატორსა და მათ დამცველთა რიგებში.

მარქსი თვითონ ითვალისწინებდა „კაპიტალის“ ამ ძალასა და მნიშვნელობას. როგორც კი დაამთავრა „კაპიტალის“ პირველი ტომის წერა, მარქსმა აღტაცებით განაცხადა: „უდავოა, რომ ეს ყველაზე საშინელი ყუმბარაა, რომელიც კი ოდესმე თავს დასტეხია ბურჟუებს...“

„კაპიტალი“ დღესაც წარმოადგენს ყველა მშრომელისა და ჩაგრულის უმძლავრეს სულიერ იარაღს კაპიტალიზმის დასამხობად.

* * *

მარქსმა, „კაპიტალში“, ღრმად და ყოველმხრივ გამოიკვლია რა კაპიტალისტური წარმოების წესის წარმოშობისა და განვითარების ეკონომიური კანონები, გაიკეთა, მეცნიერულად დასაბუთებული უმნიშვნელოვანესი რევოლუციური დასკვნები იმის შესახებ, რომ

კაპიტალიზმი წარმოადგენს ისტორიულად განსაზღვრულ, წარმავალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას, ანტაგონისტური, ექსპლოატატორული წყობილების უკანასკნელ ფორმას.

კაპიტალიზმი თავისი განვითარების მთელი მსვლელობით ამზადებს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ პირობებს თავის დაღუპვისა და უფრო მაღალ, სოციალისტურ წყობილებაზე გადასვლისთვის.

პროლეტარიატი არის კაპიტალიზმის მესაფლავე და ახალი, სოციალისტური საზოგადოების შემქმნელი.

ეს დიადი იდეები წითელ ზოლად გასდევს „კაპიტალის“ მთელ პირველ ტომს. ამაშია მისი ცხოველმყოფელი და უძლეველი ძალა. სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი პროლეტარიატის სულიერ იარაღს კაპიტალიზმის დამხობისათვის ბრძოლაში.

„კაპიტალის“ პირველ ტომში გადმოცემულია მარქსის ისეთი დიდი მეცნიერული აღმოჩენები, როგორიც არის ღირებულების შრომითი თეორია, ზედმეტი ღირებულების თეორია, კაპიტალის დაგროვების საყოველთაო კანონი, ე. წ. პირვანდელი დაგროვების საყოველთაო კანონი და სხვა, რომლებმაც ძირფესვიანი გადატრიალება მოახდინეს არა მარტო პოლიტიკურ ეკონომიაში, არამედ მთელ საზოგადოებათმეცნიერებაში.

მარქსმა აღმოაჩინა, რომ საქონელი და მისი შემქმნელი შრომა ორადი ხასიათისაა. ყოველი საქონელი შეიცავს სახმარ ღირებულებას და ღირებულებას. ასევე, შრომაც ერთი მხრივ კონკრეტული შრომაა, რომელიც ქმნის გარკვეულ სახმარ ღირებულებას, ხოლო მეორე მხრივ აბსტრაქტული შრომაა, რომელიც ქმნის ღირებულებას.

საქონელსა და შრომაში ჩამარხულ წინააღმდეგობათა გახსნის საფუძველზე მარქსმა გააკეთა უდიდესი აღმოჩენა — შექმნა მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ, რასაც ლენინმა მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედი უწოდა. ზედმეტი ღირებულების აღმოჩენით მარქსმა დაგვანახვა კაპიტალისტური წარმოების რთული მექანიზმი და ფარდა ახადა მუშათა კლასის ექსპლოატაციის მთელ საიდუმლოებას.

კაპიტალისტი ყიდულობს სამუშაო ძალას. ამ უკანასკნელს კი, ისევე როგორც ყოველ საქონელს, აქვს სახმარი ღირებულება და ღირებულება. კაპიტალისტი იხდის სამუშაო ძალის ღირებულებას, მაგრამ ამით ხდება მისი სახმარი ღირებულების მფლობელი, მუშის სახმარი ღირებულება კი მისი შრომის უნარია. კაპიტალისტი მოიხმარს სამუშაო ძალის სახმარ ღირებულებას, ე. ი. აიძულებს მუშას იმუშაოს, ხოლო მუშა თავისი შრომით ქმნის გაცილებით მეტ ღირებულებას, ვიდრე მისი, როგორც სამუშაო ძალის ღირებულებაა. სწორედ ეს განსხვავება შეადგენს ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს მუშის აუნაზღაურებელი შრომის ნაყოფს, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს.

კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის ყიდვა, მუშასთან გარიგება შენიღბულია უფლებრივადაც. შრომის ბაზარზე ისე ჩანს, თითქოს ეს გარიგება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ხდება. მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას, კაპიტალისტი ყიდულობს მას. თითქოს აქ ჩვეულებრივი აქტია, რასაც ადგილი აქვს ყოველი საქონლის ყიდვა-გაყიდვის დროს. ნამდვილად სულ სხვაგვარია კაპიტალისტისა და მუშის ურთიერთობა. აი როგორ იცვლება ამ გარიგების შემდეგ ბაზრიდან წარმოებაში მიმავალი გარიგების მონაწილეთა ფიზიონომია: „ყოფილი ფულის მფლობელი წინ მიაბიჯებს როგორც კაპიტალისტი, ხოლო სამუშაო ძალის მფლობელი უკან მისდევს მას როგორც მისი მუშა; პირველი მრავალმნიშვნელოვნად იღიმება და საქმის დაწყება სწყურია, მეორე კი თავჩაქინდრული, უგულოდ მიჩანჩალებს, როგორც ადამიანი, რომელმაც თავისი საკუთარი ტყავი ბაზარზე გაიტანა გასაყიდად და მომავალში არაფერს მოელის, გარდა ამ ტყავის დათრიმლვისა“ („კაპიტალი“, ტ. I., გვ. 226).

ზედმეტი ღირებულების წარმოშობა და მუშათა ექსპლოატაცია უაღრესად შენიღბული და დაფარულია. ერთ-ერთ ასეთ საბურველს წარმოადგენს მუშის ხელფასი. მარქსმა პირველმა ახსნა ხელფასის არსი, მისი კლასობრივი ბუნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში და აშკარა გახადა, რომ ფაქტიურად ხელფასი არის მუშის მიერ დახარჯული შრომის მხოლოდ იმ ნაწილის ანაზღაურება, რომელიც ქმნის იმდენ ღირებულებას, რაც საკმარისია ფარავს ხელფასს. ამიტომ უწოდა მარქსმა შრომის ამ ნაწილს აუცილებელი შრომა. მთელი დანარჩენი შრომა კი აუნაზღაურებელი შრომაა, რომლის შედეგს, როგორც ზედმეტ ღირებულებას, ითვისებს კაპიტალისტი ამიტომ შრომის ამ ნაწილს მარქსმა ზედმეტი შრომა უწოდა.

ამრიგად, ზედმეტი ღირებულების აღმოჩენით ურყევად დამტკიცდა, რომ კაპიტალიზმი მუშათა კლასის ექსპლოატაციაზე და, მაშასადამე, დაქირავებულ მონობაზე აგებული წარმოების წესია, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ ანტაგონიზმს ღრმა ეკონომიური საფუძველი აქვს. ამით მუშათა კლასს მიეცა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის არა მარტო საფუძველი, არამედ ბასრი იარაღიც. საკმაებით გასაგებია, რომ მარქსის ამ თეორიამ უდიდესი შეშფოთება და აურზაური გამოიწვია ექსპლოატატორთა და ყველა მათ დამცველთა ბანაკში, მან მთელი გადატრიალება მოახდინა პოლიტიკურ ეკონომიაში. ფ. ენგელსის თქმით: „...მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მოწმენდილი ციდან მეხის გავარდნამ“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. I, გვ. 537).

„კაპიტალში“ ნაჩვენებია, რომ მრეწველის მოგება, მევახშის პროცენტი, ვაჭრის მოგება და მიწათმფლობელის რენტა სხვა არაფერია, თუ არა მუშათა კლასის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების ნაწილები. ამრიგად, მუშათა კლასის ექსპლოატაციაში მონაწილეობს ბურჟუაზიის მთელი კლასი. აქედან გამომდინარეობს უმნიშვნელოვანესი რევოლუციური დასკვნა: ექსპლოატაციისაგან მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის აუცილებელია მთელი მუშათა კლასის ბრძოლა ბურჟუაზიის მთელი კლასის წინააღმდეგ, საჭიროა თვით კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობა. „კაპიტალის“ ამ დასკვნის შეთვისებას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პროლეტარიატისათვის.

„კაპიტალში“ ნაჩვენებია, რომ კაპიტალისტური წარმოების განმსაზღვრელი მოტივი და ძირითადი მიზანი მოგებაა. ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის უცხოა ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა. მოგების უზრუნველყოფისათვის კაპიტალისტი სწოვს მუშათა კლასს მთელ სასიცოცხლო ძალებს. მუშათა ექსპლოატაციის გარეშე კაპიტალს არსებობა არ შეუძლია. კაპიტალი, ამბობს მარქსი „...ვამპირის მსგავსად მხოლოდ მაშინ ცოცხლდება, როცა ცოცხალ შრომას შეიწოვს, და მით უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, რაც უფრო მეტ ცოცხალ შრომას შეიწოვს“. (გვ. 295).

კაპიტალისტი ყველაფერს მიმართავს თავისი სიმდიდრის გადიდებისათვის, ღა, მაშასადამე, მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის. „კაპიტალის“ პირველ ტომში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ გამოიყენეს კაპიტალისტებმა ამ მიზნით მანქანების შემოღება.

მანქანების შემოღებით განუსაზღვრელად გაფართოვდა კაპიტალისტთა უფლებები მუშაზე. მანქანა კონკურენციას უწევს მუშას, ართმევს მას სამუშაოს და ქუჩაში ერეკება. მანქანების შემოღებამ საშუალება მისცა კაპიტალისტს ფართოდ გამოეყენებინა ქალთა და ბავშვთა იაფფასიანი შრომა. მუშა ცალმხრივად ვითარდება და მახინჯდება. ამრიგად, მანქანის ყველა სიკეთით სარგებლობს კაპიტალისტი, მუშის მდგომარეობა კი უარესდება. მანქანა მუშისადმი მტრულ ძალად იქცევა.

აღწერს რა ყოველივე ამას, მარქსი იქვე განმარტავს, რომ მანქანა თავისთავად როდია მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მათი მდგომარეობის გაუარესების მიზეზი. ამის მიზეზია მხოლოდ მანქანების კაპიტალისტური გამოყენება.

მანქანები თავიანთი ნამდვილი დანიშნულებით მას შემდეგ მოქმედებენ, რაც ისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობა. ჩვენს ქვეყანაში მანქანები აადვილებენ მუშათა შრომას, მიმზიდველსა და საინტერესოს ხდიან მას, ადიდებენ საზოგადოებრივ დოვლათს და, მაშასადამე, თვითეული მშრომელის კეთილდღეობასაც, „რის გამოც, — როგორც სტალინი მიგვითითებდა, — ჩვენს პირობებში, კაპიტალიზმის პირობებისაგან განსხვავებით, მუშები დიდი ხალისით იყენებენ მანქანებს შრომის პროცესში“ („სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 47).

„კაპიტალში“ გარკვეულია, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარებით ქმნის უმუშევართა სარეზერვო არმიას. უმუშევრობა სულ უფრო იზრდება და ქრონიკულ ხასიათს იღებს. სარეზერვო არმიის გარეშე კაპიტალიზმს არსებობა და განვითარება არ შეუძლია. სარეზერვო არმია, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს წარმოებაში ჩაუბმელ მუშათა დიდ რაოდენობას, ამასთან მოასწავებს სიღატაკესა და შიმშილს. იგი გავლენას ახდენს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ხელფასზე, დაბლა სწევს მას და, როგორც ამ გზით, ისე საერთოდ აუარესებს მათს ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობას.

მარქსმა ამხილა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მოსახლეობის მალთუსიანურ რეაქციულ თეორიებს. „კაპიტალში“ განვითარებულია დებულება, რომ ჭარბი მოსახლეობა კაპიტალიზმის შედეგია, რომ მოსახლეობა ჭარბია არა საერთოდ, არამედ ჭარბია, კაპიტალის დაგროვების მოთხოვნებთან შეფარდებით. „კაპიტალის“ ეს ადგილები მდიდარ მასალას და ურყევ საბუთებს იძლევიან თანამედროვე მალთუსიანელთა — ამ ბნელეთისმოცოქულთა შეხედულებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს „კაპიტალის“ იმ დებულებას, რომ კაპიტალიზმი წარმოების ისეთი წესია, რომელსაც ერთი და იგივე კანონზომიერება ახასიათებს ყველა ქვეყანაში, რომ კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობანი ძალაშია ყველგან, სადაც კი ბურჟუაზიული წყობილებაა. ეს დებულება აქარწყლებს ლეგენდას ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმის „განსაკუთრებულობის“ შესახებ. ვ. ი. ლენინმა, სპეციალურად შეისწავლა რა ამერიკის კაპიტალიზმის განვითარების მთელი ისტორია, დაახასიათა იგი როგორც „პირსისხლიანი იმპერიალიზმის სისხლიანი ისტორია“, უწოდა მას ყველაზე „ცოფიანი იმპერიალიზმი“, „ყველაზე მტაცებლური“, „ყველაზე აგრესიული“ და „ყველაზე უსირცხვილო“ იმპერიალიზმი.

„კაპიტალის“ პირველ ტომში დახასიათებულია მარქსის მიერ აღმოჩენილი კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის მოქმედება და ნაჩვენებია, რომ წარმოების განვითარებით იზრდება კაპიტალისტური დაგროვება. მაგრამ დაგროვების ეს ზრდა სრულიადაც არ ნიშნავს სიმდიდრისა და კეთილდღეობის ზრდას მთელი საზოგადოებისათვის. პირიქით, დაგროვების ზრდასთან ერთად იზრდება მუშათა კლასის როგორც შეფარდებითი, ისე აბსოლუტური გაღატაკება. ...„სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სიღატაკის, შრომითი ტანჯვის, მონობის, უვიცობის, გაველურების და მორალური დეგრადაციისა მოპირისპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს“ (გვ. 813).

„კაპიტალის“ პირველ ტომში მარქსის მიერ მისთვის ჩვეული სიძლიერითა და სიცხადით გამოკვლეული და დახასიათებულია ე. წ. პირვანდელი დაგროვების საყოველთაო კანონი, გაცამტვერებულია ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ შექმნილი ლეგენდა იმის შესახებ, რომ პირვანდელი კაპიტალისტური დაგროვება თითქოს შრომისმოყვარე და მეცადინე ადამიანების მოთმინებისა და მომჭირნეობის შედეგი იყოს. მარქსმა გადაგვიშალა მთელ იმ საშინელებათა ნამდვილი სურათი, რამაც დასაბამი მისცა კაპიტალისტური წარმოების წესს. „კაპიტალში“ დამტკიცებულია, რომ კაპიტალისტური წარმოება ყველგან საშინელი ძარცვით, უხეში ძალადატანებით, წვრილ მესაკუთრეთათვის საწარმოო საშუალებების წართმევის გზით შეიქმნა. საშინელი ძალადატანებით მოხდა გლეხთა მასებისათვის მიწების წართმევა და მათი მათხოვრებად და მაწანწალებად გადაქცევა. აგვიწერს რა მთელ ამ საშინელ სურათს, მარქსი დაასკვნის, რომ გლეხთა მასების ექსპროპრიაცია... „სისხლითა და ცეცხლის ენით არის ჩაწერილი კაცობრიობის მატიანეში“ (გვ. 899).

ამ გზით წარმოიშვა კაპიტალისტური წარმოების წესი. ამიტომ ამბობდა მარქსი, რომ „კაპიტალს თავით ტერფამდე ყველა სვრეტიდან სისხლი და ჭუჭყი სდის“ (გვ. 954).

ასე სისხლიანია არა მარტო კაპიტალიზმის წარმოშობის გზა, არამედ მთელი მისი შემდგომი განვითარებაც.

კაპიტალისტური დაგროვების ზრდასთან ერთად იზრდება წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ამის შედეგად კიდევ უფრო ღრმავდება კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ამას თავის მხრივ მოსდევს კრიზისების, წარმოების ანარქიისა და უმუშევრობის გაძლიერება, ღრმავდება უფსკრული ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და მწვავდება კლასთა ბრძოლა. ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობა სულ უფრო ვიწრო და შეუფერებელი ხდება უაღრესად გაზრდილი საწარმოო საშუალებებისათვის, იგი განვითარების მუხრუჭებად იქცევა, და აი: „წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“ (გვ. 956-957).

მარქსის ეს გენიალური რევოლუციური დასკვნა და ღრმა მეცნიერული წინასწარგანჭვრეტა წარმატებით განხორციელდა პირველად ჩვენს ქვეყანაში, ხოლო შემდეგ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. იგი ასევე წარმატებით განხორციელდება ყველა სხვა ქვეყანაში, რადგან ამას მოითხოვს მწარმოებელი ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის კანონი. ასეთია კაპიტალიზმის განვითარების ობიექტურ-ისტორიული ტენდენცია, რაც მეცნიერულად დასაბუთებული და საქვეყნოდ გამოცხადებულია კ. მარქსის უკვდავ შრომაში — „კაპიტალის“ პირველ ტომში.

„კაპიტალის“ I ტომის ქართულ ენაზე ახალი გამოცემა დაგვეხმარება მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის ღრმად შესწავლაში.

ვ. ესაიაშვილი.

ვთესოთ სწრაფად და მაღალხარისხიანად

ბიბლიოთეკა

მოუმზადებელი შეხვდნენ

ადიგენის რაიონში საშემოდგომო თესვას ყოველწლიურად დაგვიანებით იწყებდნენ და ეს სამუშაო დეკემბრის სუსხიან დღეებშიც გრძელდებოდა. ჯეჯილი ამოსვლას ვერ ასწრებდა, ჩათესილი მარცვალი ზიანდებოდა და მოსავლიანობა ეცემოდა. არლის კეცხოველის სახელობისა და ბენარის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებმა სცადეს წელს არ დაეშვათ ასეთი მდგომარეობა. შედეგიც კარგია. ორივე კოლმეურნეობაში ხორბლის თესვა დასასრულს უახლოვდება. დანარჩენ 18 კოლმეურნეობაში კი არასასურველი სურათია.

თესვას მოუმზადებელი შეხვდა სოფელ უდის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. მერაბიშვილი). ადიგენის მტს-ის მიზეზით მოუხნავია 50 ჰექტარი მიწა. კოლმეურნეობას 215 ჰექტარზე დასათესი ხორბლის თესლი აკლია. დანაკლისის შესავსებად პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ.

ამჟამად თესვაზე მხოლოდ ერთი ტრაქტორი მუშაობს, რომელიც მოძალებულ სამუშაოს ვერ აუდის. კოლმეურნეობას 300 უღელი ხარი ჰყავს, მაგრამ ხვნა-თესვაზე არ იყენებს. გამოუყენებელია ადამიანთა შრომითი რესურსები. ყოველდღიურად სამუშაოზე არ გამოდის 300-310 შრომისუნარიანი კოლმეურნე. ასეთ ვითარებაში თესვას აშკარა საფრთხე მოელის.

დიდისმადის ვიშინსკის სახელობის კოლმეურნეობაში შემოსული სიმინდის აღებას არ ჩქარობენ, რაც აფერხებს ამ ნაკვეთებზე ხვნის ჩატარებას.

მოუქნელად მუშაობს მტს-ის ტრაქტორისტი ვ. დეკანოიძე. იგი „კდ-35“ მარკის ტრაქტორით საშუალოდ დღეში მარტო ერთ ჰექტარს ხნავს.

26 სექტემბერს კოლმეურნეობის წევრთა კრებამ გადაწყვიტა თესვის მასობრივად გაჩაღება. მეორე დღეს თესვაზე გამოიყვანეს დიდძალი მუშახელი და მუშაპირუტყვი, მაგრამ შემდგომ დღეებში თესვის ტემპი საგრძნობლად ეცხელდა. ამჟამად ამ სამუშაოს 5-6 კაცი ასრულებს.

ადიგენის მანქანა-ტრაქტორთა სადგური (დირექტორი ლ. ოღლიშვილი) ხვნაში ჩამორჩა, დავალება მხოლოდ 55 პროცენტით აქვს შესრულებული. დიდისმადის ვიშინსკის სახელობის, დერცელის შვერნიკის სახელობის და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში საშემოდგომოდ მოხნულია 2-5 ჰექტარი, ხოლო ზოგან ეს სამუშაო სულაც არ დაუწყიათ.

კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან ჯიშიანი, კონდიციური თესლით. სათესლე ფონდების შექმნის დავალება მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული. აქვთ 2.057 ცენტნერი კონდიციური თესლი, საჭირო 4.000 ცენტნერის ნაცვლად. ფლატის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობას 100 ცენტნერი თესლი სჭირდება, აქვს 20 ცენტნერი. აფიეთის კოლმეურნეობა „სოციალიზმს“ 182 ცენტნერის ნაცვლად 50 ცენტნერი აქვს. ზანავის ჟდანოვის სახელობის და დერცელის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობებს არც ერთი გრამი ხორბლის თესლი არ გააჩნიათ.

წელს კოლმეურნეობებში საშემოდგომოდ თესავენ ქერს 150 ჰექტარზე. ამისათვის საჭიროა 330 ცენტნერი თესლი, რომლის მომარაგებაზე დღემდე არავის უფიქრია.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის რაიონის ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მექანიზატორები ამ დღეებში

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები ენერგიულად შრომობენ საშემოდგომო თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის. წელს განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მანგლისის მტს-ის მექანიზატორებმა. მათ გეგმით უნდა დათესათ 2.830 ჰექტარი. ეს დავალება უკვე გაანაღდეს. თესვაში ყველაზე უფრო დაწინაურდნენ სოფლების ორბეთის, ღოლოვნის, მოხისის, შეხვეტილის, წვერის კოლმეურნეობები.

სოფელ ორბეთის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 350 ჰექტარი დათესა და ახლა გეგმის გადამეტებით განაგრძობს თესვას. აქ ხორბალი ჯვარედინად დათესეს 200 ჰექტარზე. გეგმის გადამეტებით თესავენ აგრეთვე სოფლების ღოლოვნის, ღვევის, ნაფიღლარის, ნამტვრევანის კოლმეურნეობები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ს. ოღლიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადა თესვის ყოველდღიურ დავალებას 160-180 პროცენტით ასრულებს. ამ ბრიგადის მომსახურებით კმაყოფილნი არიან დიდი და პატარა თონეთის, მოხისის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, სადაც ვადამდე დამთავრდა საშემოდგომო თესვა. თესვის საქმეში მოწინავეა ტრაქტორისტი რ. ოღლიშვილი, რომელიც დღეში 15-20 ჰექტარს თესავს. ქების ღირსია ახალსოფლის კოლმეურნეობაში მომუშავე ტრაქტორისტი ი. ბექაურიც.

სოფელ დურნუკის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც თეთრი წყაროს მტს-ის მექანიზატორები ემსახურებიან, უკვე დათესილია 300 ჰექტარზე მეტი, აქედან ჯვარედინად — 200 ჰექტარი. მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს ხორბალი ჯვარედინად დათესონ იმაზე ორჯერ მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. ნაყოფიერად შრომობენ ივანოვკელი და დუმანისელი კოლმეურნეები, რომლებმაც გაანაღდეს თესვის დავალება.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი აქვთ თეთრწყაროელ მექანიზატორებს ვ. აფციაურს, შ. ბექაურს, ა. მელაძეს, გ. ფეოდოროვს და სხვებს. თეთრი წყაროს მტს-ის კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულოს 10 ოქტომბრისათვის.

მისაბაძია ასურეთელი მექანიზატორების ა. დალაქიშვილის და ა. მიკირტუმაშვილის ინიციატივა — მთელი ფართობი ჯვარედინად დათესონ. ისინი ამ დავალების განაღდებისათვის წარმატებით იბრძვიან.

ნ. ნასარიძე.

პროგრესული წესით

კასპი. (საკ. კორ.). სამთავისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის ინიციატორად პირველი სატრაქტორო ბრიგადა გამოვიდა. ამ ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ზალოშვილი) თავისი მომსახურების სამი კოლმეურნეობიდან ორში — ჩობალაურისა და კოდისწყაროს კოლმეურნეობებში — უკვე დაამთავრა საშემოდგომო ხვნა-თესვა. საშემოდგომო ხორბლის დიდი ნაწილი ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად დათესა. მარტო სოფელ კოდისწყაროში დათესილი 200 ჰექტარიდან პროგრესული წესით — ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად დათესილია 170 ჰექტარი.

ამჟამად ეს სატრაქტორო ბრიგადა ხორბალს თესავს სოფელ ნიგოზას კოლმეურნეობაში. 420 ჰექტარიდან დათესილი აქვს 300-მდე ჰექტარი, აქედან პროგრესული წესით — 132 ჰექტარი.



სურათზე: ლენინგორის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტმა რ. ბიჩენოვმა, რომელიც საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებს ამავე რაიონის სოფელ ჭურთას კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში, „დტ-54“ მარკის ტრაქტორით მოხნა 267 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 180 ჰექტარისა. მაგვე გეგმის გადამეტებით ჯვარედინად დათესა 100 ჰექტარი და დაზოგა 2 ტონა საწვავი. ზევით — რ. ბიჩენოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 5 წლისთავი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ახალ ცხოვრებას აშენებს

გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში. არ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის არსებობა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირის არსებობასთან ერთად გამორიცხავს ახალი ომების შესაძლებლობას ევროპაში, ბოლოს უდებს სისხლისღვრას ევროპაში და შეუძლებელს ხდის ევროპის ქვეყნების დამონებას მსოფლიო იმპერიალისტების მიერ.

ი. ბ. სტალინი.

იოჰანეს ბეხერი

გერმანიავ, აგიხდება ოცნება

ის სიცოცხლის დიად დროშას აღმართავს,
აყვავდება, დაძლევს ტკივილს უდიდესს,
თუ დავიცავთ მშვიდობას და სამართალს —
გზა მიეცით გერმანიის სურვილებს.

გერმანიავ, გვესმის შენი ჩივილი.
ის შენს ირგვლივ შენიანებს შემოკრებს.
გვესმის შენი გულის ხმა და ტკივილი,
კარგად ვარჩევთ ნამდვილ მტრებს და მეგობრებს.

გსურს დაედოს ხოცვა-ჟლეტას საზღვარი,
შეწყდეს, ქვეყნად რაც შუღლი და ომია —
გერმანიავ, სურვილები სხვაგვარი
არასოდეს შენს ხალხს არა ჰქონია.

გერმანიას არ სურს იყოს ვნებული,
გერმანია ქვეყნებს ცეცხლს არ უკიდებს,
სურს აყვავდეს, აღდგეს განახლებული —
გზა მიეცით გერმანიის სურვილებს!

გერმანია ფეთქავს შეკავშირების,
სიცოცხლისა და მშვიდობის წყურვილით, —
ამხანაგო, მტკიცედ შეკრათ რიგები,
რომ ასრულდეს გერმანიის სურვილი.

მოშუშდება ქვეყნის ყველა ჭრილობა,
შემცდარია, ვინც ხალხის გულს იმეტებს!
გერმანიას უნდა მზე და მშვიდობა —
გზა მიეცით რესპუბლიკის იმედებს!

გერმანულიდან თარგმნა აკაკი ჭკადუამ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. „პრიცვალკის“ მტასთან შექმნილია სადისპეტჩერო პუნქტი, რომელსაც რადიოთი კავშირი აქვს თვითეულ სატრაქტორო მრიგადასთან. სურათზე: ცენტრალურ სადისპეტჩერო პუნქტში. ცენტრალბილდის ფოტო.



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ბერლინი. ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი — სტალინის ხეივანი. ცენტრალბილდის ფოტო.

გამოფენა „წიგნი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“

14 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო გალერიის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გამოფენა „წიგნი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. ამ დღიდან დაწყებული, გამოფენის შენობის ფრონტონზე ფრიალებენ საბჭოთა კავშირის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროშები. ეს დროშები გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სიმბოლოს წარმოადგენენ.

გამოფენის შენობაში შესვლისთანავე თვალში გეცემათ შთაბეჭდილებათა წიგნი. ეს უკვე მეორე წიგნია. იშვიათად თუ ნახავთ, რომ მასში ვინმე რაიმეს არ წერდეს. ჩვენ კი გვეგონა, რომ თბილისელი დამთვალიერებლებისათვის შთაბეჭდილების ჩასაწერად ერთი წიგნიც საკმაო იქნებოდა. თითქმის ყველა ჩანაწერი ქებით იხსენიებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიგრაფიულ მრეწველობას. ყველა ჩანაწერს ერთი რამ საერთო ახასიათებს: გამოფენა მიჩნეულია დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებისა და გერმანიის ხალხის ურყევი მეგობრობის დემონსტრაციად.

გამოფენა თბილისში დღემდე 125.000-მდე დამთვალიერებელმა ინახულა. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი წიგნები ასეთ დიდ ინტერესს გამოიწვევდა?

როგორც მოსკოვსა და ლენინგრადში, ისე აქაც, თბილისში, საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრა და მათთან საუბარი ჩვენ, გერმანელებს, უდიდეს სიხარულსა და კმაყოფილებას გვგვრის. ჩვენ ძლიერ გაგვაკვირვა იმ სასიხარულო მოვლენამ, რომ აქ, საქართველოში, ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც საუცხოოდ ლაპარაკობენ გერმანულად. იმის შემდეგ კი, რაც შესაძლებლობა მოგვეცა თბილისის ერთ-ერთ საუნელო სკოლას ვწვევოდით და იქ ჩვენი მშობლიური ენის სწავლების გაკვეთილს დავსწრებოდით, აღარ გვაკვირვებს ეს გარემოება და დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი საბჭოთა სკოლაში უცხო ენის სწავლების სანიმუშოდ დაყენების შედეგი.

თუ რამდენად დიდია ცოდნისადმი ლტოლვა ქართველ მეგობრებში, ამაში ჩვენ ყოველდღიურად ვრწმუნდებით გამოფენაზე. აქ წიგნებს ზერელედ კი არ ათვალიერებენ, არამედ ყურადღებით იღებენ ხელში და გულმოდგინედ ამოწმებენ. ხშირად დაინახავთ დამთვალიერებელს, რომელიც მაგიდას მისჯდომია და წიგნიდან ამა თუ იმ ადგილს იწერს ან რაიმე შენიშვნას აკეთებს თავისთვის.

განსაკუთრებით მოხარული ვართ, როცა ჩვენთან პიონერთა რაზმები მოდიან. აბა სად ნახავთ ასეთ ახალგაზრდობას, როგორიც არის აქ, საბჭოთა კავშირში? მათ მზახველს არ შეუძლია არ იწამოს, რომ ჩვენი მომავალი საიმედო თაობის ხელშია! დიდი მადლობის გრძნობით ვიღებთ საბჭოთა პიონერებისაგან ძვირფას საჩუქრებს — პიონერულ ნიშნებსა და ყელსახვევებს. ჩვენ მათ გერმანელ პიონერებს გადავცემთ და თან მოვუთხრობთ, თუ როგორ ცხოვრობენ და უკეთესი მომავლისათვის მუშაობენ აქაური პიონერები.

არის ძველი გერმანული ანდაზა: „ვინმე რომ სამოგზაუროდ წავა, მას დაბრუნებისას ბევრი ექნება სათქმელი“. ჩვენ, გამოფენის გერმანელ მუშაკებს, სამშობლოში დაბრუნებისას შეგვიძლია ბევრი რამ მოვუთხროთ თანამემამულეებს საბჭოთა კავშირზე, კერძოდ, საქართველოზე.

საქართველოში ჩვენ კალმით აუწერელი მშვენიერება ვიხილეთ და უამრავი შთაბეჭდილება მივიღეთ. გერმანიაში ჩვენს დაბრუნებას და ამ შთაბეჭდილებათა გაზიარებას მრავალი ჩვენი თანამემამულე ელოდება. გერმანელმა ხალხმა უნდა იცოდეს, თუ რა გულწრფელი და უანგარო მეგობრები ჰყავს მას დიდ საბჭოეთში. ჩვენ დიდად ბედნიერი ვართ, რომ სწორედ 7 ოქტომბერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების ხუთი წლის თავზე, აქ, მეგობრულ საქართველოში გვიხდება ყოფნა და მუშაობა. აქედან დაბრუნებისას თან წაგვყვება რწმენა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ყველა გერმანელი პატრიოტის გულს აღაგზნებს.

ჩვენი სურვილია რაც შეიძლება მეტმა გერმანელმა საკუთარი თვალით ნახოს დიდი პერსპექტივები საბჭოთა ხალხის ეკონომიური და კულტურული აღმავლობისა, რომლისთვისაც თავგადადებით იბრძვიან საბჭოთა ადამიანები. დღითიდღე იზრდება საბჭოთა კავშირის მეგობრების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში. დასავლეთ გერმანიაშიც მრავალ გამოჩენილ მოღვაწესა და ბევრ, ძალიან ბევრ უბრალო ადამიანს სურს მეგობრული ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან. ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე ხედავენ განვითარებისა და წინსვლის რა დიდი შესაძლებლობანი ეძლება მთელ გერმანიას, თუ იგი საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან იქნება დაკავშირებული. დასავლეთ გერმანიაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საბჭოთა სინამდვილეზე. ჩემი რწმენა და სურვილია: ისე, როგორც ჩვენ, სხვა გერმანელებმაც საკუთარი თვალით იხილონ საბჭოთა სინამდვილე, გულდასმით შეისწავლონ იგი. ისინი შემდეგ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საუკეთესო პროპაგანდისტები გახდებიან. მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში საბჭოთა ადამიანები გულთბილად შეგვხვდნენ. ამ გულთბილობამ და გულწრფელობამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი უკვე სამუდამოდ დაადგა საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გზას. ამიერიდან ჩვენ მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბანაკთან ერთად მხოლოდ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ვებრძოლებთ.

ბედნიერი მომავლისათვის მშვიდობიანი მშენებლობა კი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა უპირველესი ამოცანა და ლოზუნგია. თუ რას მიაღწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა ამ ხუთი წლის მანძილზე, ამის შესახებ მოგვითხრობს ეს გამოფენა. აქ ჩვენი მრეწველობის მხოლოდ ერთი, სახელდობრ, პოლიგრაფიული მრეწველობის დარგის პროდუქციაა ნაჩვენები. აქ გამოფენილი წიგნების შინაარსი ნათლად და მკაფიოდ მოუთხრობს ჩვენს მეგობრებს იმის შესახებ, რომ ჩვენი ლიტერატურა ჰუმანიზმს, მშვიდობასა და ხალხთა შორის მეგობრობას ემსახურება.

ჰელმუტ ელსნოლცი,
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ლიტერატურისა და გამომცემლობათა სამმართველოს მთავარი რეფერენტი.

მეგობრული სურვილებით...

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში გაიხსნა გამოფენა — „წიგნი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. საბჭოთა საქართველოს ათეულ ათასობით მშრომელმა უკვე ინახულა ეს გამოფენა. ჩვენი ადამიანები, რომლებიც მუდამ დიდ ინტერესს იჩენდნენ გერმანული კულტურის და, კერძოდ, გერმანული ლიტერატურის მიმართ და რომლებსაც აფელვებთ დღეანდელი გერმანიის გაერთიანების საკითხი და მისი მომავლის ბედი, გულწრფელ აღტაცებას გამოხატავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევების გამო სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, გერმანული კულტურის აღორძინების საქმეში.

საბჭოთა ადამიანები ერთხელ კიდევ რწმუნდებიან, რომ ვერავითარი უხეში ძალა, რეაქციისა და მილიტარიზმის ვერავითარი შეტევა ვერ წაართმევს ხალხს მის სულიერ სიმდიდრეს, ვერ შეანელებს მის შეუპოვარ მისწრაფებას ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. ამას მეტყველებს ის გულთბილი, წრფელი გრძნობების გამომხატველი ჩანაწერები, რომლებითაც სავსეა შთაბეჭდილებათა წიგნი.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რას ნიშნავს ეს თავისუფლება. დიდ სამამულო ომში ისინი იბრძოდნენ არა მარტო თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ჰიტლერული ჭირისაგან, არამედ მთელი მსოფლიოსა და თვით გერმანელი ხალხის განთავისუფლებისთვისაც.

„მე დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ, — წერს მელუმელე გ. ჩალიგინი, — ვიყავი გერმანიაში, ვიცნობ გერმანელებს, როგორც შრომისმოყვარე ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისადმი მეგობრულად იყვნენ განწყობილნი. ჩემი სურვილია გერმანიის რაც შეიძლება მალე გაერთიანება. თქვენი წიგნიც ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა“.

გერმანელი ხალხისადმი ამ მეგობრული გრძნობითა და კეთილი სურვილებით არის გამსჭვალული ინჟინერ ა. ბაბუშკინის, მხატვარ გ. ითშვილის, სომეხი მწერლის მ. დანიელიანის, გვარდიის უფროსი ლეიტენანტის რ. პოლიეკტოვის, თბილისელი პიონერებისა და მოსწავლეების და სხვათა ჩანაწერები.

აღნიშნავს რა გერმანელი ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფებას ცოდნისა და განათლებისაკენ, მის უაღრესად მაღალ კულტურას, მასწავლებელი ი. დვალი შენიშნავს: „...ყველაფრიდან ჩანს, რომ გერმანელი ხალხისათვის წიგნი ის მეგობარი და თანაშემწეა, რომელიც ეხმარება მას უკეთესი მომავლისა და ბედნიერი ცხოვრების შექმნაში“.

საბჭოთა ხალხს, რომელსაც კარგად ახსოვს, თუ როგორ წვავდნენ ნაცისტები წიგნებს, როგორ ანადგურებდნენ გერმანიის მრავალსუკუნოვან კულტურას, დღეს ეს გამოფენა კიდევ უფრო განმტკიცებს რწმენას, რომ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, თავისუფალ ხალხს, საკუთარი ბედის გამგებელ ხალხს შეუძლია მიაღწიოს უაღრესად დიდ კულტურულ ძვრებს, მეცნიერებისა და ხელოვნების უდიდეს აყვავებას.



ლაიპციგის ს. მ. კიროვის სახელობის მძიმე სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხანაში. სურათზე: უფროსი ოსტატი წარმოების აქტივისტი ჰორსტ გაუკი მუშებს უჩვენებს სსრ კავშირიდან მის მიერ ჩატანილი უახლესი კრამიკული საჭრისის მოქმედებას.

უდიდესი მოვლენა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს ხუთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი შექმნა უდიდესი მოვლენაა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში და მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც გადაჭრით გაწყვიტა კავშირი პრუსიული მილიტარიზმის საუკუნეობრივ აგრესიულ პოლიტიკასთან, თავისუფალი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ეს ახალი გერმანია მტკიცედ დაადგა მშვიდობიანი, დემოკრატიული განვითარების გზას, ყველა ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზას.

ახლა, როცა ადენაუერი და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა დააჩქარონ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია და ახალი სამხედრო ავანტიურების პლაცდარმად გადააქციონ იგი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლის ბურჯის, როლი განსაკუთრებით ძლიერდება. იგი გამოდის როგორც დასავლეთ გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მდგომი მილიტარისტული ხროვის რევანშისტული ზრახვების ალაგმვის რეალურად მოქმედი ფაქტორი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი არსებობის ფაქტით ის მძლავრი ძალაა, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რომ გერმანიის ავანტიური იმპერიალიზმი აღორძინდეს ამერიკის აგრესიული წრეების გეგმებით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გერმანელი ხალხის უდიდესი წვლილია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში ლიკვიდირებულია მილიტარიზმის აღდგენის ბაზა: მოსპობილია მონოპოლიები, ნაციონალიზებულია მსხვილი მრეწველობა, გაუქმებულია სამხედრო მრეწველობის ყოფილი მაგნატებისა და სამხედრო დანაშავეთა საკუთრება, ლიკვიდირებულია იუნკერთა მსხვილი მამულები. ახლა თავის ბედს განაგებს გერმანელი ხალხი, რომელიც მტკიცე რწმენით დაადგა დემოკრატიული გარდაქმნების გზას გერმანიის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამყარებული სახელმწიფო წყობილების პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენს მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან, კავშირი, რომელიც ეყრდნობა ყველა დემოკრატიული ძალების თანამშრომლობას. ამ კავშირში წამყვანი როლი და ხელმძღვანელობა მუშათა კლასს ეკუთვნის. ხალხის მასები აქტიურად უჭერენ მხარს თავიანთ ხელისუფლებას და აღფრთოვანებით შრომობენ მშვიდობიანი მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განსახორციელებლად.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების სახალხო-დემოკრატიული საფუძველი განუწყვეტლივ მტკიცდება. სულ უფრო მტკიცე ხდება მუშათა კლასის ერთიანობა, მისი კავშირი მშრომელ გლეხობასთან. განუზომლად გაიზარდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის — გერმანელი მშრომელი ხალხის ინტერესების ნამდვილი გამომხატველის ავტორიტეტი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილი ახალი წყობილების ეკონომიური საფუძველია სახალხო სექტორი მრეწველობაში, სახალხო მამულები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე გლეხების მიერ შექმნილი საწარმოო კოოპერატივები. სახალხო სექტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკაში, როგორც მისი დემოკრატიული გარდაქმნისა და ეკონომიური განვითარების საძირკველი. საერთო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში სახალხო საწარმოთა და კოოპერაციის წილმა 1950 წელს 77,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 1953 წელს 85,5 პროცენტს მიაღწია. სახელმწიფოს ხელშია საკრედიტო სისტემა და სავალუტო ვაჭრობა. წარმატებით ვითარდება სახელმწიფო საცალო სავაჭრო ქსელი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის მთელი მშრომელი ხალხისათვის ომის მაგალითია, თუ დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს უმონოპოლისტებოდ და უმემამულეებოდ როგორ მიჰყავს თავისი ქვეყანა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისაკენ, მშვიდობისა და ეროვნული გაერთიანებისაკენ. რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული პროგრესი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც იქ დაიწყო ახალი კურსის განხორციელება, რომლის არსი ის არის, რომ უახლოეს ხანში მიღწეულ იქნას მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესება. ახალი კურსი პოლიტიკური ხაზია, რომელიც ნავარაუდევია ხანგრძლივი პერიოდისათვის და რომლის მიზანია გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, ხალხის ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის.

ახალი კურსის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ის წარმატებანი, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიაღწია ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენისა და მის შემდგომ განვითარებაში. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა IV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა მეტალურგიული ბაზა, მნიშვნელოვნად გადიდდა საწარმოო სიმძლავრეები მანქანათმშენებლობაში, მოგვარებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება. 1953 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია 76 პროცენტით გადიდდა მის 1936 წლის მოცულობასთან შედარებით. საქონელბრუნვა 1950 წელთან შედარებით 65 პროცენტით გადიდდა. დიდი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგში. მოსავლიანობამ მიაღწია ომამდელ დონეს, ხოლო მარცვლეულის მოსავლიანობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამ დონეს. გადიდდა პირუტყვის სულადობა ომამდელ პერიოდთან შედარებით. რესპუბლიკაში ნეზაყოფლობის საფუძველზე შეიქმნა 5.000-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, რომლებიც ამუშავებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი სათესი ფართობის 13-მდე პროცენტს. ახალმა კურსმა, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს უკვე მოუტანა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, გამოიწვია რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცება.

თავისი არსებობის მთელი ხუთი წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა ერთიან დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ გერმანელი ხალხის ეროვნული გაერთიანებისათვის, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. თავისი მთავრობის ინიციატივით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 52-ჯერ გააკეთა სხვადასხვა განცხადება და შეიტანა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე მშვიდობიანად გადაიჭრას გერმანიის საკითხი. ამასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობის აზრს გამოხატავს, მხურვალედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნას უშიშროება ევროპაში და სწრაფად და სამართლიანად გადაიჭრას გერმანიის პრობლემა. იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, ახალი შესაძლებლობანი შექმნა გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

1954 წლის ივნისის დამლევს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოეწყო სახალხო კენჭისყრა, რომლის დროსაც გამოკითხვის მონაწილე ყველა პირთა 93,6 პროცენტმა აზრი გამოთქვა სეპარატულ სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, საზავო ხელშეკრულების და გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის სასარგებლოდ. ეს კენჭისყრა იმას მოწმობს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეგნებული აქვს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება გერმანელი ხალხისა და მთელი მსოფლიოსათვის. სახალხო კენჭისყრა გერმანელი ხალხის პატრიოტულმა ძალებმა გამოიყენეს მშვიდობის შენარჩუნებისადმი თავიანთი მისწრაფების დემონსტრაციისათვის.

ახალი, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპია სახალხო პალატისა და დეპუტატთა საოლქო კრებების არჩევნები, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1954 წლის 17 ოქტომბერს მოხდება. რესპუბლიკაში დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ძირითადი საკითხის გადაჭრისათვის, რომელიც დგას გერმანელი ხალხის წინაშე, — მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის ეროვნული გაერთიანებისათვის. ყოველ გერმანელ პატრიოტს, ყოველ მშრომელ გერმანელს საკუთარი გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე შეუძლია დარწმუნდეს, რომ მის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კურსი და რომ მილიტარიზაციის, მასების გაჩანაგებისა და გაღატაკების გზა, რომელსაც დასავლეთი გერმანია ადგას, სასარგებლოა მხოლოდ ამერიკის მმართველი წრეებისათვის, აგრეთვე გერმანელი მონოპოლისტებისა და მიწის მსხვილი მესაკუთრეებისათვის — გერმანელი ხალხის მტრებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხრმოლა ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიისათვის, გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობისათვის უზრუნველყოფს მისთვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის მხარდაჭერას, საბჭოთა კავშირის მხარდაჭერასა და დახმარებას. საბჭოთა ხალხის მეგობრობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან განუწყვეტლივ მტკიცდება და ძლიერდება. ამასთანავე იზრდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც გერმანელი ხალხის ერთიანობის აღდგენისა და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ გერმანიის გარდაქმნის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის, საერთაშორისო მნიშვნელობა.

თავისი არსებობის ხუთი წლის პერიოდში გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ცხადყო, თუ რა სასარგებლო ნაყოფს იძლევა ახალი ცხოვრების მშენებლობა დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე. როგორც გერმანელი ხალხის ისტორიაში პირველ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მტკიცე ადგილი უკავია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდ ბანაკში. მშვიდობისმოყვარე ხალხებს სამართლიანად მიაჩნიათ იგი ახალი გერმანიის — მშვიდობისა და შრომის, დემოკრატიისა და პროგრესის გერმანიის მომავალი შექმნის საფუძვლად.

გ. გრიგორიევი.

ბერლინს ჩავიდნენ უცხოეთის მთავრობის დელეგაციები

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავის დღესასწაულზე ბერლინს ჩამოვიდნენ მთავრობის დელეგაციები: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილის ჩენ ი-ს მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იუზეფ ცირანკევიჩის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ანტალ აპროს მეთაურობით, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კიკუ სტოიკას მეთაურობით, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ჩანკოვის მეთაურობით, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარის შეფთიეთ პეჩის მეთაურობით. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გენერალური პროკურორის ყამბალდორჟის მეთაურობით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის და მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პაკ ი ვანის მეთაურობით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — სსრ კავშირში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის ნგუენ ლონგ ბანგის მეთაურობით.

ბერლინის შენეფელდის აეროდრომზე უცხოეთის დელეგაციებს შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენები, დიპლომატიური კორპუსი.

დამთავრდა ჩინელ სახალხო მოხალისეთა შვიდი დივიზიის გაყვანა კორეიდან

პეკინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ფხენიანიდან იუწყება:

ჩინელ სახალხო მოხალისეთა შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 3 ოქტომბერს დამთავრდა ჩინელ სახალხო მოხალისეთა შვიდი დივიზიის გაყვანა კორეიდან ჩინეთში, რაც 16 სექტემბერს დაიწყო.

ნერუსთან და უ ნუსთან სასჯროამიჯოიოს მოლაპარაკების შედეგების გამო

ჯაკარტა, 5 ოქტომბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებენ რა ინდონეზიის პრემიერ-მინისტრ სასტროამიჯოიოს მოლაპარაკებას ნერუსთან და უ ნუსთან, საზოგადოებრივი წრეები და პრესა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოს მეთაურების მოლაპარაკება სამსახურს გაუწევს მშვიდობას.

როგორც ანტარას საგენტო გადმოგვცემს, გუშინ სასტროამიჯოიომ ანგარიში წარუდგინა კაბინეტის წევრებს ნერუსთან და უ ნუსთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ. მინისტრებმა მოიწონეს მოლაპარაკების შედეგები.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება შეიარაღების შემცირების საკითხზე საბჭოთა წინადადების გამო

ვარშავა, 5 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდა საბჭოთა კავშირის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე იმის შესახებ, რომ დაიდოს საერთაშორისო კონვენცია შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა საზეობათა იარაღის აკრძალვის საკითხებზე. ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთები სარედაქციო და მოწინავე სტატიებს უძღვნიან ამ წინადადებას.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ მოწინავე სტატიაში „მშვიდობის გზა“ წერს: „საბჭოთა კავშირის ახალმა წინადადებამ განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე ამ ორგანიზაციის ფარგლებს გარეთაც. ეს გასაგებიც არის რამდენადაც ეს წინადადება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ გზაზე, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება საკითხებზე, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კაცობრიობის უშიშროებასა და მშვიდობის შენარჩუნებასთან. საბჭოთა კავშირის ინიციატივა კვლავ მოწმობს, რომ ოგი ისწრაფვის სადავო საკითხები გადაიჭრას მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, მოწმობს მშვიდობისადმი მისწრაფებას, რაც მუდამ ახასიათებს საბჭოთა პოლიტიკას“.

„საბჭოთა წინადადება, — განაგრძობს გაზეთი, — შეიცავს უდიდეს შესაძლებლობებს, ფართო პერსპექტივებს უქმნის კაცობრიობას. როგორია ეს პერსპექტივები? — ჯერ-ერთი, ატომური იარაღის აკრძალვა საშუალებას მისცემს ადამიანებს იცხოვრონ ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენით, არ აშინებდეთ იმათი ბედი, ვისაც ატომური საფრთხე მოელის, არ აწუხებდეთ ის, რომ ადამიანთა სიცოცხლეს კაცობრიობის კულტურის დიდ საგანძურს, წარსულის ძეგლებს საფრთხე მოელის. მეორე, შეიარაღების საყოველთაო შემცირება იმის მომასწავებელი იქნება, რომ ერობაშიდან დიდი სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა შეიარაღებისათვის, არამედ ადამიანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ყველა ხალხისათვის შეიარაღების ხარჯების მნიშვნელოვანნ შემცირების შესაძლებლობას“.

პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი, წერს გაზეთი, მხურვალედ უჭერს რა მხარს საბჭოთა ინიციატივას, მოითხოვს, რომ განხორციელდეს ლონისძიებანი უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

სოფია, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ კომენტარს უკეთებს საბჭოთა წინადადებას შეიარაღების შემცირების საკითხზე, რომელიც შეტანილ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე, და წერს:

საბჭოთა წინადადება ახალ პერსპექტივებს უქმნის ხალხებს. მისი მიღება და განხორციელება გამოიწვევდა მობრუნებას საერთაშორისო ურთიერთობაში, დაძაბულობის გადაჭრით შენელებას მთელ მსოფლიოში, ნდობის აღდგენას სახელმწიფოთა შორის და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ახალი წინადადება შეამოწმებს დასავლეთის სახელმწიფოთა გულწრფელობას ძირითად საკითხში მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის. ეს, აღნიშნავს „ოტეჩესტვენ ფრონტი“, ეხება უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელნიც „ძალის პოლიტიკას“ ეყრდნობიან და ამ პოლიტიკას საფუძვლად უდებენ ატომურ იარაღს. საბჭოთა წინადადება განიარაღების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, იმ გადაწყვეტილებათა მკვეთრი კონტრასტია, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა ლონდონში მიიღეს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ჰიტლერული ვერმახტის აღორძინების შესახებ.

ბუქარესტი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). რუმინეთის პრესა კვლავ კომენტარს უკეთებს წინადადებას შეიარაღების შემცირების საკითხზე, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა. გაზეთი „რომინია ლიბერა“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ხმარობს ღონისძიებებს, რათა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენებით დაუყოვნებლივ განხილულ იქნას თანამედროვეობის აქტუალური საკითხები და მიღებულ იქნას სათანადო გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მოელის მთელი დედამიწის ასეულ მილიონობით ადამიანი.

საბჭოთა წინადადების მიღება, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ნამდვილ მობრუნებას გამოიწვევს საერთაშორისო მდგომარეობაში, გააუმჯობესებს დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობას და ამასთანავე მნიშვნელოვნად შეამცირებს ომის საფრთხეს.

გაზეთი „მუნკა“ მოწინავე სტატიაში წერს: არავითარი ეჭვი არ არის, რომ მშვიდობისმოყვარე ძალები ყველა ქვეყანაში მოითხოვენ მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება ახალი საბჭოთა წინადადების საფუძველზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მიიღონ შეთანხმება, რასაც ამდენი ხანია მოელის მთელი კაცობრიობა. ახლა ხალხები დასავლეთის მთავრობებისაგან მოელიან კონკრეტულ მოქმედებას, რომელიც ხელს შეუწყობს კონსტრუქციული და პრაქტიკული საბჭოთა წინადადების მიღებას.

რუმინელ ხალხს, აღნიშნავს დასასრულ გაზეთი „მუნკა“, ღრმად სწამს, რომ სსრ კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივას შეუძლია გამოიწვიოს შეიარაღების შემცირება, ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა საზეობათა იარაღის აკრძალვა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცება.

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთების მოწინავე და სარედაქციო სტატიები მიძღვნილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წინადადებისადმი შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის შესახებ.

სწორედ იმ დროს, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, როცა ლონდონში ცხრა ქვეყნის თანმიმბრი იმუშავებდა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გეგმებს, საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე შეიტანა წინადადება შეიარაღების შემცირების შესახებ.

საბჭოთა წინადადება, წერს გაზეთი, მშვიდობის პროგრამაა, რომელსაც იწონებენ და მხარს უჭერენ, რადგან იგი ყველა ხალხის მისწრაფებასა და ინტერესებს შეესაბამება.

3. ულბრიხტის გამოსვლა მოსავლის დღესასწაულზე ჰაიჯჰაინში

ბერლინი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვ. ულბრიხტმა, რომელიც მოსავლის დღესასწაულზე გამოვიდა ჰაიტჰაინში (ლაიპციგის ოლქი), ილაპარაკა საბჭოთა კავშირის წინადადებებზე შეიარაღების შემცირების შესახებ, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიაზე.

გერმანელი ხალხი, თქვა ვ. ულბრიხტმა, მიესალმება საბჭოთა კავშირის წინადადებებს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ეს წინადადებანი შეეფერებიან ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის ინტერესებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხები დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით და საბჭოთა წინადადებების განხორციელებით, რადგან მათ შეუძლიათ თავიანთი მეურნეობა წარმატებით განავითარონ მხოლოდ მშვიდობის პირობებში.

ათასზე მეტი მუშა და გლეხი, რომლებიც მოსავლის დღესასწაულის გამო გამართულ მიტინგს დაესწრნენ, დიდი მოწონებით შეხვდა ვ. ულბრიხტის ამ განცხადებას.

ინგლისის საზოგადოებრიობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გეგმების წინააღმდეგია

ლონდონი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ლეიბორისტული პარტიისა და პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწეებმა დაგმეს ცხრა ქვეყნის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას.

ლითონმსხმელთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ რონალდ კაზასოლამ ლეიბორისტული პარტიის სკარბოროს ყოველწლიურ კონფერენციაზე შეიტანა რეზოლუცია დასავლეთ გერმანიის, შეიარაღების წინააღმდეგ და პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „რა ლამაზ ფრაზებსაც უნდა ამბობდნენ, გეგმის მიზანია შექმნას ეროვნული არმია დასავლეთ გერმანიაში, ხოლო არმია დასავლეთ გერმანიაში ნიშნავს გერმანიის დანაწილებას“.

მაღაროელთა საბრძეთ უელსის ფედერაციის თავმჯდომარემ უილიამ პენტერმა განაცხადა, რომ მისი პროფკავშირის წევრები იბრძვიან გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, „რა საფრთოაც უნდა ნიღბავდნენ მას“.

ლონდონი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ საყოველთაო უშიშროებისათვის ბრძოლის კონგრესი, რომელსაც იგი იწვევს ლონდონში 31 ოქტომბერს, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ საკითხის განხილვას, თუ რა ღონისძიებანი უნდა მიიღონ ინგლისის ორგანიზაციებმა, რომ ჩაფუშონ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების ახალი გეგმები.

განცხადებაში ნათქვამია: „დასავლეთ გერმანიის შეიარაღება და სამხედრო ბლოკების შექმნა საფრთხეს უქმნის ინგლისის უშიშროებას. იდენის დაპირება, რომ ჩვენი ჯარები დატოვებულ იქნებიან კონტინენტზე ამ საუკუნის დამლევამდე, რაც მან ინგლისელი ხალხის დაუთანხმებლად მისცა, მხოლოდ აძლიერებს ამ საფრთხეს. ეს გეგმები სამუდამოს ხდიან გერმანიის დაყოფას, აძლიერებენ დაძაბულობას, სტიმულს აძლევენ გამალებულ შეიარაღებას და ომის გაჩაღების ერთგვარ რისკს ქმნიან“!

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობაზე ასტრონომიის კაბინეტში.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

სეზონის გახსნა მარჯანიშვილის სახელოგის თეატრში

გუშინ, 6 ოქტომბერს, მარჯანიშვილის სახელობის ახლად შეკეთებულ და რეკონსტრუირებულ თეატრში სეზონი გაიხსნა ახალი სპექტაკლით. წარმოდგენილ იქნა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ნაზიმ ჰიქმეთის დრამატული პოემა „ლეგენდა სიყვარულზე“.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ტაბლიაშვილს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს — ი. სუმბათაშვილს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ა. მაჭავარიანს.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ანჯაფარიძე (მეხმენე ბანუ), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. შავგულიძე (ფერხადი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. გოძიაშვილი (უცნობი), მსახიობი დ. ჭიკინაძე (შირინი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კ. დაუშვილი, ა. გომელაური, მ. დავითაშვილი, მსახიობები შ. ქოჩორაძე, ა. სიხარულიძე, ფ. სონღულაშვილი, გ. ტატიშვილი, მ. მგელაძე, ლ. ყიფშიძე, ა. ვერულეიშვილი, დ. ქუთათელაძე და სხვები.

სპექტაკლს წარმატება ხვდა.

ჰიათურის სახელმწიფო თეატრში

ჰიათურა. (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის ჰიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი ახალ სეზონში მაყურებელს უჩვენებს შემდეგ დადგმებს: ს. მთვარაძის „სურამის ციხეს“, კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, გ. ბერძენიშვილის „შემოდგომას“. თეატრს განზრახული აქვს მიმდინარე სეზონში მოამზადოს შ. დადიანის ტრაგედია „შავი ქვა“, რომელიც ასახავს ამერიკელ კონცენსიონერთა თარეშს ჰიათურაში. პიესა საფუძვლიანად გადაკეთდება ავტორისა და თეატრის თანამეგობრობით. თეატრი დადგამს აგრეთვე ა. ადამიას „უძილო ღამეს“.

მიმდინარე სეზონში აღდგენილი იქნება აგრეთვე გასული სეზონის საუკეთესო დადგმები. წელს თეატრის კოლექტივს შეემატნენ რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მსახიობები.

თეატრის კოლექტივი ჩვეულებისამებრ თავის საუკეთესო დადგმებს უჩვენებს მაღაროების მუშათა კლუბებსა და საშეფო კოლმეურნეობებში.

საბჭოთა კალათბურთელების გამოსვლა ეგვიპტეში

ალექსანდრია, 6 ოქტომბერი. (საკდესი). 5 ოქტომბერს ალექსანდრიაში გაიმართა საბჭოთა და ეგვიპტელ კალათბურთელთა მესამე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. თბილისის „დინამოს“ გუნდი თამაშობდა ეგვიპტის პირველ ნაკრებ გუნდთან.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 37:18 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ. მეორე ტაიმში გამოვიდა „დინამოს“ გუნდის ახალგაზრდათა შემადგენლობა, რომელმაც შეძლო განემტკიცებინა წარმატება და თამაში დაამთავრა ანგარიშით 67:45.

სტადიონი, სადაც თამაში მიმდინარეობდა გაჭედილი იყო ხალხით. თამაშს დაესწრნენ ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი ნაგიბი, ალექსანდრიის გუბერნატორი და ეგვიპტის სხვა ოფიციალური პირნი.

მოზარდ ფეხბურთელთა ასპარეზობა

მოსკოვი. 5 ოქტომბერი. ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლების სპორტსმენთა ნაკრება გუნდების ასპარეზობა ფეხბურთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზის მოსაპოვებლად საინტერესო ბრძოლით ხასიათდება. ყოველი მატჩი სპორტის ათასობით მოყვარულს აზიდავს.

ამ შეჯიბრებაში წარმატებით იბრძვის თბილისის გუნდი (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე). ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ფეხბურთელები 5 ოქტომბერს შეხვდნენ ლენინგრადის სპორტსმენთა ძლიერ კოლექტივს და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 1:0.

ამრიგად, თბილისის ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის გუნდი, რომელმაც ძლიერ მეტოქეებთან ორივე მატჩი მოიგო, ლიდერად ითვლება. თბილისელი ფეხბურთელები მორიგ შეჯიბრებას გამართავენ 8 და 10 ოქტომბერს კიევისა და მინსკის გუნდებთან.

თბილისის საქალაქო პარტიულ ბიბლიოთეკაში

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ბიბლიოთეკაში სკკპ ისტორიისა და თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად ეწყობა კონსულტაციები სკკპ ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის და სსრ კავშირის ისტორიის საკითხებზე, აგრეთვე პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდურ საკითხებზე.

კონსულტანტები მორიგეობენ ყოველდღე 11 საათიდან 4 საათამდე და სალამოს 7 საათიდან 10 საათამდე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

მშვიდობის სესხის წარმატებითი რეალიზაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა მშვიდობის მეხუთე სესხზე ხელმოწერის წარმატებით მიმდინარეობის შესახებ. სულ ხელმოწერის თანხამ დასახული 1.100.000.000 ფორინტის ნაცვლად შეადგინა 1.123.634.300 ფორინტი. სესხზე ხელმოწერა შეწყვეტილია.

ძველი მკვლელები ახალი ნიღბით

ქ. დიუსელდორფში (დასავლეთი გერმანია), კიონიგსალეეზე, ერთ-ერთი კაფე-კლუბის წინ ხშირად ხედავენ ჭაღრო რიგებად მდგომ კომფორტაბელურ „მერსედეს-300“ ავტომანქანებს. ეს მანქანები ეკუთვნით რურის ცნობილ მრეწველებს, იმ ადამიანებს, რომლებმაც ორჯერ დადეს სასწორზე გერმანიისა და მასთან ერთად მთელი მსოფლიოს ბედი. ახლა ეს ვაჟბატონები კვლავ ცდილობენ თავს მოახვიონ კაცობრიობას ახალი ყაჩაღური ომი და ამ სისხლიანი აქტის განხორციელებისათვის არ იშურებენ არც სახსრებს, არც ძალას, არც გამოცდილებას.

„ქარხნის მილების ბარონები“ — ასე უწოდებენ ხალხში ფოლადისა და ქვანახშირის ამ დასავლეთგერმანელ მეფეებს.

დღეს ყველასათვის ცნობილია: ისინი რომ არა, არც პირველი მსოფლიო ომი იქნებოდა და არც მეორე... ახლა კი მესამე ომს ამზადებენ.

„არც ისე ადვილია ოლიმპის მოშინჯვა, სადაც „ღმერთები ბჟობენ“, — წერს ავსტრიელი ჟურნალისტი ბრუნო ფრეი სტატიაში „ბატონები რურიდან“. — ნიურნბერგის პროცესმა, როგორც ჩანს, მათ ბევრი რამ ასწავლა“. ამ მორიელებმა იციან, რომ მსოფლიოს ხალხთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ მოშუშებულა ის ღრმა ჭრილობა, რომელიც მათ მიერ დაყენებულმა ბავარიელმა მანიაკმა ჰიტლერმა და მისმა სამხედრო მანქანამ მიაყენეს კაცობრიობას. ამიტომ არის, რომ ჯერ-ჯერობით ფეხის წვერებზე სიარულს არჩევენ იმ იმედით, რომ შემდეგში კვლავ ტანკების მუხლუხებით გადათელონ პარიზის ბულვარები და ლომბარდიის ბაღ-ბოსტნები.

მაგრამ აქ, ამ მყუდრო და განმარტოებულ კაფეში კიონიგსალეეზე სრულიად თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი. აი აქ გამართული დისკუსიებისა და მოხსენებების რამდენიმე თემა: გენერალი ერიხ დეტლეფსენი — „საზოგადოების მიმართ ჯარისკაცის პრეტენზიების შესახებ“; ჰუბერტუსი, პრინცი ლევენშტაინი — „საარის შესახებ“, პროფესორი ვილი მესერშმიდტი — „გერმანიაში თვითმფრინავთმშენებლობის აღდგენის შესახებ“ და სხვ.

ამ ადამიანებმა კარგად იციან რას აკეთებენ.

დღეისათვის დასავლეთ გერმანიაში აღდგენილია 38 სამრეწველო ტრესტი. თითქმის ყველა მათგანს კონტროლს უწევენ იგივე მონოპოლისტები, რომლებიც ჰიტლერის დროს პარპაშობდნენ, როგორც სამხედრო-ეკონომიური „ფიურერები“. ახლა ისინი კონრად ადენაუერის ეკონომიური „ფიურერების“ როლში გამოდიან. ოდესღაც ჰიტლერი სამხედრო-ეკონომიურ „ფიურერებს“ ნიშნავდა „გერმანიის სამხედრო ეკონომიკის გაძლიერების საქმეში დამსახურებისათვის“. ახლა ეს ადამიანები, ესოდენი ღვაწლი რომ მიუძღვით ევროპის დამონებისა და აოხრების საქმეში, კვლავ იმყოფებიან მძლავრი სამრეწველო მანქანის მბრძანებელ პუნქტებზე. მათი მედოლე დღეს ადენაუერია.

ეს კაცი ოდესღაც მუსოლინის მეგობარი იყო და ჰიტლერის კეთილგანწყობითაც სარგებლობდა, ახლა იგი „მორგანის ბიჭია“. გარდა იმისა, რომ თავს იდებს ამერიკელი ბატონის ლაქიობაში, უოლ-სტრიტთან ნათესავური კავშირითაც არის დაახლოებული. ადენაუერი მორგანის ჯგუფის ერთ-ერთი კომპანიის დირექტორის ლ. დუგლასისა და დასავლეთ გერმანიაში ამერიკის ყოფილი უმაღლესი კომისრის ჯ. მაკლოის ქვისლი გახლავთ. იგი კელნის კარდინალის ფრინგსის გულითადი მეგობარია, ფრინგსი მეგობარია ამერიკელი კარდინალის სპელმანისა, სპელმანს კი არაოფიციალური მრჩევლის თანამდებობა უკავია რომის პაპთან, რომელიც თავის მხრივ უოლსტრიტის აგენტთა მსახურია.

ამგვარად, ეს „ჯადოსნური წრე“, კომპანიური შეხმატკბილება და „ნათესაური კავშირი“ დასავლეთგერმანელ მრეწველებს თავისუფალი მოქმედების სრულ გარანტიას აძლევს.

რაინზე და რურში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ „ძველ ნაცნობთა“ გვარებს. ჰუგო სტინესის სანაოსნო კომპანიის შავ-თეთრ-წითელი ალამი კვლავინდებურად „ამშვენებს“ რაინის საერთაშორისო ნაოსნობის ჭრელ სურათს; ყაჩაღური ომების სპეციალისტის კრუპის საწარმოებში კვლავ 25 ათასი კაცი მუშაობს; არანაკლებ ღვაწლმოსილი პიროვნება ადამიანთა ყლეტის საქმეში ვ. მესერშმიდტი გერმანული თვითმფრინავთმშენებლობის უახლოეს დროში აღდგენაზე ლაპარაკობს...

კვლავ წამოყვეს თავი, ამ ჰიტლერელმა ეკონომიურმა „ფიურერებმა“! მაგრამ ისინი ახლა გულმოდგინედ ეფარებიან „მშვიდობიანი განვითარებისა“ და „უდრტვინველობის“ ნაცად ნიღაბს.

„გერმახული ბანკის“ მაგიერ წარმოიქმნა „ბონის რესპუბლიკის“ ცალკეულ მხარეთა ბანკები, მაგრამ მათ კვლავინდებურად ფაშიზმის ნაბუშარი ახსი ხელმძღვანელობს; ვადაზე ადრე განთავისუფლებული სამხედრო დანაშავე ფრიდრიხ ფლიკი დღეს კვლავ საფავეში უდგას თავის კონცერნს; „ი. გ. ფარბენინდუსტრი“ დღეს დაყოფილია რამდენიმე ცალკეულ ფირმად: „ფარბვერკე ხოიხსტი“, „ბაიერი და კომპანია“, „ბადიშე ანილინ უნდ ზოდა ფაბრიკი“, და მათ კვლავ ის დირექტორები მეთაურობენ, რომლებსაც სამხედრო დანაშაულისათვის თავის დროზე ხანგრძლივი პატიმრობა მიესჯათ.

გერმანული სამხედრო მრეწველობის ეს ტუზები თავიანთი ოკეანესგადმელი აატონების მხარდაჭერითა და წაქეზებით თავის მხრივ ცდილობენ მკვდრეთით აღადგინონ ჰიტლერული ვერმახტი და მისი მეთაურები.

ჯერ კიდევ 1951 წელს ოტო ვოლფის ფირმა არ იშურებდა არც ფულს, არც მჭევრმეტყველებას იტალიის ხალხის ჯალათის კესელრინგის ციხიდან განთავისუფლებისათვის.

„უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, — განაცხადა მაშინ ვოლფმა, — რომ კესელრინგი გენერალ რომმელზე უფრო პოპულარული გავხადოთ“.

ამ მიზნით შეიქმნა „ფოლადის მუზარადი“ და მის თავმჯდომარედ აირჩიეს კესელრინგი, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ იხდიდა „ოცწლიან პატიმრობას“ ვერლის ციხეში. „ფოლადის მუზარადის“ თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ კესელრინგი სასწრაფოდ გაათავისუფლეს ამერიკელებმა.

კრუპი საჭიროა, რომ ზარბაზნები აკეთოს, კესელრინგი საჭიროა, რომ საზარბაზნე ხორცი ამზადოს, და ორივე მზად არის თავი დადოს ამ სისხლიანი საქმისათვის.

ძველი მკვლელები თავიანთ სტიქიაში გრძნობენ თავს. თავის დროზე ხალხთა მიერ მსჯავრდადებულნი, ისინი ძია სემის ფრთას ამოფარებულნი ერთგულად ჰკიდებენ ხელს შავ საქმეს.

დასავლეთ გერმანიაში უკვე არსებობს 500-ზე მეტი სამხედრო ორგანიზაცია, მათ შორის 89 შექმნილია ყოფილი ჰიტლერული დივიზიების ბაზაზე, 85—პოლკების ბაზაზე, 37—საარტილერიო ნაწილების, 72—სატანკო ნაწილების, 77 — საპაერო ნაწილების ბაზაზე. სულ ამჟამად დასავლეთ გერმანიაში ოოფქვრ დგას 420 ათასი კაცი. ამ „მხედრობის“ ბირთვს ჰიტლერის ყოფილი ფაშისტური ვერმახტისა და პოლიციის ჯარისკაცები და ოფიცრები წარმოადგენენ.

მტაცებლები რურიდან და მათი ამერიკელი მფარველები გულმოდგინედ ილესავენ კლანჭებს. ომი მათი არსებობის წყაროა, დაპყრობები — მათი გამდიდრების საშუალება. ზემოგება ყველაზე უკეთ სხვა ქვეყნებიდან ამოიჭაჩება. სამხედრო ეკონომიკის ჰიტლერელ ხელმძღვანელებს მტაცებლური ომების გარდა ამისათვის სხვა რეცეპტი არ გააჩნდათ. მათ არც დღეს აქვთ სხვა რეცეპტი. მაგრამ ეს ვაჟბატონები, როგორც ყოველთვის, ახლაც მოტყუებენ ანგარიშში. მათ მოელით ახალი ნიურნბერგი, კიდევ უფრო მკაცრი და ულმობელი.

ა. კუსრაშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1) სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის გამგე მთლიან განაკვეთზე.

2) პედიატრიული და სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი — ნახევარ განაკვეთზე.

3) ფარმაცევტული ფაკულტეტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრის დოცენტი — მთლიან განაკვეთზე.

4) მიკრობიოლოგიის კათედრის ასისტენტი — მთლიან განაკვეთზე.

მსურველებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და დაურთონ შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის მირადი ბარათი, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხში დამტკიცების საბუთების შემოწმებული პირები, სქემიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, შრომების სია და რეცენზიები.

კონკურსის ვადა ორი კვირა ღღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის ქუჩა, № 10.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური ღუროვის
გასტროლები
(შერეული ცხოველების ჯგუფი)
დიდი სახცირკო პროგრამა
მონაწილეობენ:
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

კვირას, 10 ოქტომბერს
ღღის ორი საბავშვო წარმოდგენა
სალამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. 30 წ. დღის წარმოდგენების
დასაწყისი 12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის
სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კ